



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 21

2018 წლის 17 იანვარი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკა (დანართის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვნის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდების სერვის ცენტრს“, არსებობის ვადით.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 თებერვლიდან.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე:



კარლო ჯამბურია

1.	უაზი ს/ნ WVM -724
2.	უაზი ს/ნ GEG - 387
3.	ექსკავატორი ბორბლიანი ს/ნ RA -770
4.	კამაზი 55115 ს/ნ YVV-149
5.	კამაზი 6520 ს/ნ EBE - 683
6.	მერსედესის მარკის ნაგავმზიდი QN 051
7.	მერსედესის მარკის ნაგავმზიდი QN 052
8.	მერსედესის მარკის ნაგავმზიდი JC934CJ
9.	კამაცუს ტიპის ბულდოზერი D155AX5 ს/ნ OA -686
10.	ნაგვის ურნა (კონტეინერი) - 130 (ას ოცდაათი) ცალი 1100ლტ.